

ვახტანგ მალრაძე

-კენ თანდებულის უმართებულო გამოყენების შესახებ

აღსანიშნავია, რომ პრესასა (ძირითადად) თუ მხატვრულ (როგორც თარგმნის, შედარებით იშვიათად – ორიგინალურ) ლიტერატურაში მომრავლდა **-კენ** თანდებულის უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები.

გავიხსენოთ, რომ **-კენ** თანდებული დაერთვის ნათესაობით ბრუნვას და წინამავალ სახელთან ერთად მიუგებს კითხვებზე: ვის-კენ? რისკენ? [ქეგლი 1986]. და „საითკენ“. მისი დანიშნულებაა მიუთითოს მიმართულება [შანიძე 1953], მაგრამ რუსული ენის გავლენით ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმები ჩნდება. მაგალითად: დილისკენ, სადამოსკენ, შუადამისკენ, ბოლოსკენ, დასასრულისკენ, გაზაფხულისკენ, ექვსისკენ, რვისკენ, სამართლიანობის დაცვისაკენ, საქმის გახსნისაკენ...

ქართული **-კენ**-ის რუსული შესატყვისია **к** თანდებული. **к** თანდებულის რამდენიმე მნიშვნელობიდან ჩვენი მსჯელობის საგნისათვის მხოლოდ ერთია საინტერესო: „გამოიყენება ვადის ჩვენებისას, რომლის დადგომის დროს ხდება ან სრულდება რაიმე“ [რუს. 1986]. თუმცა ეს ფუნქცია ქართულ ენაში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა და არა აუცილებლად **-კენ** თანდებულით.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

ა) დილისკენ:

„ტკივილი ლიტრმა კონიაკმაც ვერ ჩამიხშო. უბრალოდ დილისკენ გათიშვის საშუალება მომეცა“ (თ. ბონი, „ეიფორია“); „პირველად შემოსასვლელი კარის გაჯახუნების ხმაზე გაეღვიძა, მეორედ კი დილისკენ... როცა... თითქოს ვიღაცის... ქვითინის ხმა ესმოდა“ (გ.ჩხეტიანი, თარგმ. „მოჩვენება“); „დილისკენ მოვიდა კიდევ ერთი ჩვენი მეგობარი...“ („რეიტინგი“); „დილისკენ, როცა ოდნავ ინათა, დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა“ („სარკე“); „...დალილ-დაქანცულ ბარბარას დილისკენ ჩასძინებოდა“ (იქვე); „...როდესაც დილისკენ იწერება ლექსი, პროცესი უფრო რთულია“ (იქვე); „დილისკენ გადავწყვიტე: „რაც არის, არის!“ (იქვე)...

როგორც აღვნიშნეთ, **-კენ** თანდებულის ამ ფუნქციით გამოყენება რუსული ენის გავლენითაა განპირობებული, კალკს წარმოადგენს და უარსაყოფია. რუსულ ენაში **к** თანდებული ვადის ჩვენებისასაც თავისუფლად გამოიყენება: „**К** утру бред прошел: сейчас она лежала неподвижная, бледная“ [რუს. 1986].

ქართული ენისათვის გარკვეულ შემთხვევებში **-კენ** თანდებული შეუსაბამოა. ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში უნდა ყოფილიყო: **დილას** (დილას მოვიდა, დილას ჩასმინებოდა, დილას იწერება...) ან კიდევ: **დილისთვის**, რაც დროის აღმნიშვნელია და სავსებით მისაღები.

გამართული ფორმაც, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება:

„ცოლ-ქმარი კროსბები დილისთვის დაბრუნდენენ“ (გ. ჩიქობავა, თარგმ. „ყვითელი ძაღლი“).

ბ) სალამოსკენ, შუალამისკენ:

„შუალამისკენ ორკესტრი ყოველთვის გადადიოდა ძველებურ სენტიმენტალურ მელიოდიებზე“ (ლ. ზურებიანი, თარგმ. „წამოდექით მიცვალებულებო!“); „სალამოსკენ ჟულიეტიც დაჰკითხეს“ (იქვე); „მე... ანკესი წავიღე. სალამოსკენ ჩავედით („თბილისელები“); „...ბარბარას პირველი თაყვანისმცემლები... სალამოსკენ მოდიოდნენ...“ („სარკე“); „დილით რომ წავალ, შეიძლება სალამოსკენ გადავწყვიტო რაღაცის ყიდვა“ (იქვე); „როგორც წესი, სალამოსკენ ხმა იკლებს, სუსტდება, ილღება“ (იქვე); „როცა სახლში დავბრუნდით, ისევ იწვა, საჭმელიც არ უნდოდა, სალამოსკენ ადგა...“ (იქვე); „სალამოსკენ ნათელი გახდა, რომ... ბრიგადები ვერაფერს გახდებოდნენ“ (იქვე); „გოგოები ქობულეთში ჩავიყვანე, დავაბინავე, სალამოსკენ კი ბათუმში წავედი“ (იქვე); „სტუმარი მოვა ალბათ სალამოსკენ“ (იქვე); „სალამოსკენ ამინდი გაუარესდა („იღუმე. სამყარო“)...

ანალოგიური ვითარებაა დასახელებულ მაგალითებშიც. მსგავსად **დილისა** აქაც უნდა გვქონოდა **სალამოს**: სალამოს დაჰკითხეს, სალამოს ჩავედით... რაც შეეხება **შუალამეს**, უნდა ყოფილიყო: **შუალამეს** ან **შუალამისას** ორკესტრი გადადიოდა ძველებურ მელიოდიებზე.

სხვაგვარი ვითარებაა შემდეგ შემთხვევებში:

„ჯანმრთელ ადამიანშიც კი დილიდან სალამოსკენ ენის ლორწოვანი გარკვეული ფენით იფარება“ („სარკე“); „დილიდან რომ გავდივარ ზღვაზე, სალამოსკენ უკვე გარუჯული ვარ...“

(იქვე); „ჩემთან წაგიყვან, სადამოსკენ ერთად მოვიფიქრებთ რამეს“ (იქვე)...

ამ წინადადებებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ვითარებითი ბრუნვა – **მდე** თანდებულთა გაფორმებული: დილიდან **სადამომდე** ლორწოვანი ფენით იფარება; დილიდან რომ გავდივარ ზღვაზე, **სადამომდე** უკვე გარუჯული ვარ. თუმცა მეორე წინადადებაში **მდე** თანდებულთან ფორმის პარალელურად მიცემითი ბრუნვის გამოყენებაც შესაძლებელია: **სადამოს** უკვე გარუჯული ვარ. მართალია, აქაც დროა მითითებული, მაგრამ აღნიშნავს კონკრეტული დროის მონაკვეთს. მაშასადამე, მართებულია: დილიდან სადამომდე, სადაც **კენ** თანდებული სრულიად ზედმეტია. ბოლო შემთხვევაშიც აშკარაა, რომ დრო სადამომდეა განსაზღვრული: სადამომდე მოვიფიქრებთ...

გ) ბოლოსკენ:

სიტყვა **ბოლოსკენ** ქვემოთ დასახელებულ შემთხვევებში იმავე ფუნქციით გამოიყენება, როგორც პირველ და მეორე ქვეჯგუფებში გვექონდა:

„მე... ვერ გავუძელი ამ რეჟიმს და ბოლოსკენ გავტყდი...“ („თბილისელები“); „ზოგიერთი მარხულობას მარხვის შუაში იწყებს, ან ბოლოსკენ“ (იქვე); „- ბოლოსკენ არ მოვეშვა ცოტა? - არა. ბოლომდე ვნერვიულობდი“ (იქვე); „იანვარი ისე გაივლის, თვის ბოლოსკენ ვხვდები, რომ დღესასწაულები ნამეტანი გაგრძელდა („რეიტინგი“); „ბოლოსკენ ერთი სული მქონდა, როდის დაიბადებოდა...“ („სარკე“); „ბოლოსკენ სოიოს სოუსს დავამატებ...“ (იქვე); „ბისკვიტი ჯერ მიქსერით უნდა ათქვიფო, მაგრამ ბოლოსკენ კოვზით ნაზად უნდა ურიოთ...“ (იქვე)...

ყველა შემთხვევაში **კენ** თანდებულის ნაცვლად საჭირო იყო მიცემითი ბრუნვა (**ბოლო-ს**) ყოველგვარი თანდებულის გარეშე: ბოლოს გავტყდი, ბოლოს ვხვდები, ბოლოს ერთი სული მქონდა...

ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში კი აუცილებელია მიცემითი ბრუნვის გამოყენება (**ბოლოს**), მართებულია **ში** თანდებულთან ფორმებიც: **ბოლოში** სიჭრელე უნდა ყოფილიყო; შინაარსი **ბოლოში** უფრო იმაბება:

„ბოლოსკენ სიჭრელე უნდა ყოფილიყო“ („რეიტინგი“); „განცხადების შინაარსი ბოლოსკენ კიდევ უფრო იძაბება...“ („სარკე“).

შემდეგ მაგალითებში კი ვითარება ცოტა სხვაგვარია:

„ზაზას დამსახურება იყო ისიც, რომ მატჩის ბოლოსკენ ერთმანეთის მიყოლებით მოედანი დატოვეს მოწინააღმდეგე გუნდის კალათბურთელებმა...“ („სპორტსიახლენი“)... „ქორწილები ხომ ტრადიციულად მიდის, თუმცა ბოლოსკენ იქაც არის ჯაგაჯუგი“ („სარკე“); „...მშვიდობიანად დავიშლებით, - თქვა კოტემ ბოლოსკენ (იქვე); „ძმები გრიძების ზღაპარს უსათუოდ დავასრულებთ, მაგრამ ბოლოსკენ“ (იქვე)...

აქ შესაძლებელი იყო ორი ვარიანტის გამოყენება: მატჩის / ქორწილის / საუბრის **ბოლოს** და მატჩის / ქორწილის / საუბრის **დასასრულს**.

ქვემოდასახელებულ შემთხვევებში უკვე სხვა შინაარსია ნაგულისხმევი:

„როდესაც საუბარი ბოლოსკენ წავიდა, ლაპარაკის ტემპმაც იკლო“ (მ. ნატროშვილი, „სასიამოვნო საფრთხე“), „რას ვიქრობთ... მერაბიშვილის სასამართლო ბოლოსკენ მიდის?“ („სარკე“).

ეს წინადადებები გამართული ქართულით ასე იქნებოდა: **დასასრულს მიუახლოვდა**. ამგვარ შემთხვევასაც ვხვდებით:

„...პიტერმა მათ სთხოვა, ენობებინათ, როგორც კი სხდომა **დასარულს მიუახლოვდებოდა**“ (ლ. ზურებიანი, თარგმ. „სასტუმრო“).

თუმცა სასურველი იქნებოდა მსგავსი მაგალითები უხვად ყოფილიყო.

განვიხილოთ შემდეგი შემთხვევებიც:

„ბოლოსკენ, რას ურჩევ ადამიანებს, რომლებიც ფობიებით არიან შეპყრობილი?...“ („რეიტინგი“); „ივნისის ბოლოსკენ საქართველოში ვაპირებთ ჩამოსვლას...“ („თბილისელები“); „ვიცივდით, რომ ნოემბრის ბოლოსკენ უნდა გაჩენილიყო...“ („სარკე“); „ინტერვიუს ბოლოსკენ თქვენს გმირზე გკითხავთ“ (იქვე); „1961 წლის ბოლოსკენ კი... რობერტ შელტონმა ერთ-ერთ კლუბზე სტატია მოამზადა...“ (იქვე); „70-ათიანი წლების ბოლოსკენ მათი დამზადება შედარებით გახშირდა“ (იქვე)...

ამ შემთხვევებში არჩევანი უფრო ფართოა: შესაძლებელი იყო როგორც მიცემითი ბრუნვის (ბოლო-ს), ასევე **-თვის** თანდებულისა

და სიტყვა **დასასრულის** გამოყენებაც. შესაბამისად, იქნებოდა: ინტერვიუს / წლის / ივნისის / ნოემბრის **ბოლოს**; ინტერვიუს / წლის / ივნისის / ნოემბრის **ბოლოსთვის**; ივნისისთვის ჩამოვიდოდით; ნოემბრისთვის გაჩნდებოდა; ინტერვიუს / ივნისის / ნოემბრის **ბოლოს / დასასრულს**.

ქვემოთ დასახელებულ შემთხვევაში კი საჭიროა გარკვეული სიტყვათშეხამების გამოყენება:

*„სასწაული მახსიერება ჰქონდა სიკვდილის ბოლოსკენაც კი...“
(„სარკე“).*

ყველაფერი ბუნებრივ ელფერს მიიღებდა, თუ გამოიყენებდნენ: **სიკვდილის წინაც** და არა ბოლოს, ბოლოსკენ ან ბოლოსთვის...

სხვაგვარი ვითარება გვაქვს შემდეგ წინადადებებში:

„ბოლოსკენ მიმყავს პროექტი“ („სარკე“); „გადაცემა ბოლოსკენ მიდიოდა“ (იქვე); „...მშვენივრად ერთობოდნენ, თუმცა ბოლოსკენ ვიღაცა მიყურებდა...“ (იქვე) ...

დასახელებულ შემთხვევებში მისაღები იქნებოდა სიტყვების – **დასასრულის** და **დამთავრების** გამოყენება: სრულდება პროექტი, მთავრდება პროექტი; გადაცემა დასასრულს უახლოვდება, გადაცემა სრულდება, გადაცემა მთავრდება; დასასრულს ვიღაცა მიყურებდა...

დ) დასასრულისკენ:

„დღე უკვე დასასრულისკენ მიიწევდა...“ (ლ. ზურბიანი, თარგმ., „სასტუმრო“); „...მომდერალი 2013 წლის დასასრულისკენ საახალწლო საჩუქრების საყიდლად... ჰიპერმარკეტში შევიდა“; („რეიტინგი“); „დასასრულისკენ რომ წავიდე, რამე საინტერესო თავგადასავალი ხომ არ გადაგხდენიათ? (იქვე); „უმჯობესია, დასასრულისკენ წავიდე, რათა მოსაწყენი არ გახდეთ...“ („სარკე“); „საკაშვილი სამიტის დასასრულისკენ გამოვიდა“; (იქვე); „...პროექტის დასასრულისკენ ატმოსფერო ყოველთვის იძაბება“ (იქვე); „სხდომის დასასრულისკენ პრეზიდენტმა განაცხადა“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“)...

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიტყოდით ან დაწვერდით: დღე მთავრდებოდა / დღე დასასრულს ახლოვდებოდა; წლის ბოლოს; გადაცემის დასასრულს; უმჯობესია, დავასრულოთ; სამიტის დასასრულს გამოვიდა; პროექტის / სხდომის დასასრულს...

ე) დროის (საათის) აღნიშვნა:

1. ზოგჯერ **-კენ** თანდებულთ გამოხატული სიტყვა კონკრეტულ დროს, საათს მიანიშნებს:

„– შეიძლება დღეს სადილზე დაგპატიჟოთ? – რომლისთვის? – მოდი, რვისკენ“ (თ. ბონი, „ოცნების ძიებაში“); „დღეს გამომევი რა ბინების სანახავად. – კარგი... რომლისკენ იქნება ეგ ამბავი? –რა ვიცი, როდის გაწყობს შენ? სამისკენ?“ (იქვე); „შუადღის მზეზე სანაპიროზე გავჩერდეთ, საღამოს ხუთისკენ ისევ ზღვაზე მივდივართ“ („სარკე“); „სადღაც 6-ისკენ გამეღვიძა“ (იქვე)...

დასახელებული მაგალითები რუსულის კალკია: „**К** часам двенадцати подоспел обед“ [რუს. 1986]. ჯერ ერთი, აღვნიშნოთ ის, რომ **к** часам двенадцати – ქართულად ითარგმნება არა თორმეტი საათისაკენ, არამედ თორმეტი საათისათვის, თორმეტისთვის, და მეორეც, ის რაც რუსული ენისათვის ბუნებრივი და მართებულია, ხშირად ქართულში მიუღებელი და გაუმართლებელია.

ყველა შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის **-კენ** თანდებულის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ **-თვის** თანდებული. შესაბამისად, უნდა გვქონოდა: რვისთვის, სამისთვის, ხუთისთვის, 6-ისთვის.

აქაც ვხვდებით მართებულ შემთხვევებს:

„დაახლოებით თერთმეტი საათისათვის კომპიუტერი ჩართო“ (ლ. ზურებიანი, თარგმ., „წამოდექით მიცვალებულებო!“); „დილას, თერთმეტი საათისათვის, ვიღაც ახალგაზრდა კაცმა... შეიდგვერდიანი მოხსენება გადასცა“ (ლ. ზურებიანი, თარგმ., „სასტუმრო“).

2. წლის დროები, თვეები:

„თუ შევძელი გაზაფხულისკენ მინდა სახლის მოთავება...“ („სარკე“); „წასვლას ნამდვილად ვერ მოვახერხებთ, მაგას თებერვლისკენ ვგეგმავთ“ (იქვე); მე-9 თვეში გადავედი, მაისის შუა რიცხვებისაკენ ველოდები“ (იქვე)...

ამ წინადადებებშიც **-კენ** თანდებულის ნაცვლად ბუნებრივი იქნებოდა პირველ შემთხვევაში გვეხმარა **-თვის** ან **-ზე**: გაზაფხულისთვის, გაზაფხულზე და მეორესა და მესამეში – ისევ **-თვის** ან **-ში** თანდებულები: თებერვლისთვის / თებერვალში; მაისის შუა რიცხვებისათვის / რიცხვებში...

როგორც ითქვა, ნათესაობითი ბრუნვის **-კენ** თანდებული მიუგებს კითხვაზე „საითკენ“. მისი ფუნქციაა მიუთითოს მიმართუ-

ლება, რაც დასახელებული შემთხვევებისათვის სრულიად შეუფერებელია.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ვ) 1. მშვიდობისაკენ:

„ჩვენ, ბოლშევიკები, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მშვიდობისაკენ ვისწრაფვით“... („თბილისელები“).

ამ შემთხვევაში უნდა ვთქვათ: მშვიდობის დასამკვიდრებლად ვიბრძვით; მშვიდობისთვის ვიბრძვით.

2. დამკვიდრებისაკენ:

„შავები მუდმივად მიილტვიან ადამიანის აურაში, ამა თუ იმ ორგანოში მყარად დამკვიდრებისაკენ“ („ფენომენი“).

-**კენ** თანდებული ვერც აქ გამოდგება. მართებული იქნებოდა: ადამიანის ორგანოში დასამკვიდრებლად.

3. დაცვისაკენ:

„წესდება... შეიცავდა მოწოდებას... ზოგადად სამართლიანობის დაცვისაკენ“ (თ. ლუტიძე, თარგმ. „მასონები“).

უნდა იყოს – მოწოდება სამართლიანობის დაცვისათვის ან დასაცავად.

4. შეზღუდვისაკენ:

„გამოხატავდა ხელმწიფეთა მისწრაფებას პაპის უფლებების შეზღუდვისაკენ“ (ა. გელოვანი).

სტილისტიკურად გაუმართავი, გაუმართლებელია შეზღუდვისაკენ სწრაფვა. ამ შემთხვევაშიც საჭიროა კვლავ **-თვის** თანდებულის დართვა: **შეზღუდვისათვის**. უმჯობესია: **შესაზღუდავად** და წინადადებაც ბუნებრივ ელფერს შეიძენდა:

გამოხატავდა ხელმწიფეთა მისწრაფებას პაპის უფლებების შესაზღუდავად.

5. იმისაკენ, რომლისკენ:

„-დღეს გამოძევი რა ბინების სანახავად. -კარგი... რომლისკენ იქნება ეგ ამბავი? -რა ვიცი, როდის გაწყობს შენ? სამისკენ?“ (თ. ბონი, „ოცნების ძიებაში“), „...უნდა დაირაზმოს იმისკენ, რომ საარჩევნო სისტემა გაუმჯობესდეს („სარკე“).

ზემოთ დასახელებულ მაგალითებშიც უნდა ყოფილიყო **-თვის** თანდებული: დაირაზმოს **იმისათვის**, რომ სისტემა გაუმჯობესდეს; **რომლისთვის** იქნება ეგ ამბავი?...

იმისაკენ მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მიმართულების სემანტიკაა გამოსახატავი. მაგალითად:

„იერემია დილიკაურისაკენ გაემართა“ (ლ. ქიაჩელი); „უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ“ (ილია); ისიხის მუღღუმ კარებისაკენ მიაშურა“ (ს. მგალობლიშვილი); „მერცხლები სამხრეთისაკენ თბილის ქვეყნებში წასასვლელად ეშაადებიან“ (ი. გოგებაშვილი)...

ყველა ზემოდასახელებულ დაწუნებულ შემთხვევაში **-კენ** თანდებული რუსულის კალკს წარმოადგენს. ამიტომ მისი ხმარება გაუმართლებელია. მსგავსი კალკების გამოყენება, უყურადღებო მიმბაძველობა ენას კარგს არაფერს მოუტანს, მდიდარი ქართული ლექსიკის გადარიბებას გამოიწვევს მხოლოდ.

ლიტერატურა

კიზირია 1974 – ა. კიზირია, ქართული ენა, თბილისი.

რუს. 1986 – Словарь русского языка, Т. II, Москва.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

წყაროები

ბონი 2013 – თ. ბონი – „ეიფორია“, თბილისი.

ბონი 2014 – თ. ბონი – „ოცნების ძიებაში, თბილისი.

გელოვანი 1990 – ა. გელოვანი, „რწმენა, ღმერთები, ადამიანები“, თბილისი.

ზურებიანი 2010 – ლ. ზურებიანი, თარგმ., ფ. ვარგასი, „წამოდექით მიცვალებულებო!“, თბილისი.

ზურებიანი 2013 – ლ. ზურებიანი, თარგმ., არტურ ჰეილი, „სასტუმრო“, ნაწ. I-II, თბილისი.

„თბილისელები“ – ჟურნ. „თბილისელები“, N 23. 2008; N 3. 2009; NN 8, 24. 2011, N 26. 2013.

„იდუმალების სამყაროში“ – გაზ. „იდუმალების სამყაროში“, N 9. 2009.

ლუტიძე 2012 – თ. ლუტიძე, თარგმ., მაიკლ ჯონსტონი, „მასონები“, თბილისი.

ნატროშვილი 2014 – მ. ნატროშვილი, „სასიამოვნო საფრთხე“, თბილისი.

„რეიტინგი“ – ჟურნ. „რეიტინგი“ NN 14, 48. 2009; N 4. 2013, N 3. 2014 .

„რუსთავი 2“ – ტელეკომპანია „რუსთავი 2“.

„სარკე“ – ჟურნ. „სარკე“, NN 15, 34, 49, 52. 2006; NN 11, 30, 36, 38, 41. 2007; NN 10,18,41. 2008; NN 8, 24, 37. 2009, NN12, 14,15, 17, 49. 2010; NN 7, 19, 20, 33, 47, 52. 2011; NN 28, 30. 2012; N N 12, 34. 2013; NN 5, 6, 32, 40. 2014; N 16. 2015.

„სპორტსიახლენი“ – ჟურნ. „სპორტსიახლენი“, 34. 2007.

„ფენომენი“ – „ჟურნ. „ფენომენი“, N 8. 2014.

ჩიქობავა 2010 – გ. ჩიქობავა, თარგმ., ჟორჟ სიმენონი, „ყვითელი ძაღლი“, თბილისი.

ჩხეტიანი 2012 – გ. ჩხეტიანი, თარგმ., მათილდა ო დარნელი, „მოჩვენება“, თბილისი.

Vakhtang Maghradze

On the Misuse of the Postposition -ქენ

S u m m a r y

The postpositions have their own defined functions. In the verbal and written Georgian literary language postpositions are often misused. It is tried to give them the functions of other postpositions (in some cases

through the loan translation). It contributes to narrowing the scope of the certain postpositions and producing improper forms in the language.

Because of the influence of the Russian language the postposition **-ქენ** is often misused e. g. **diliskენ** (in the morning), **sayamosკენ** (in the evening), **bolosკენ** (at the end), **gazapxuliskენ** (in spring), **tebervliskენ** (in February), **rvisკენ** (at eight o'clock), **mšvidobiskენ** (for peace)... The correct forms are as follows: **dilas**, **dilistvis**, **sayamos**, **sayamoxans**, **bolos**, **dasasruls**, **gazapxulistvis**, **gazapxulxe**, **tebervlistvis**, **tebervalši**, **rvistvis**, **mšvidobistvis**...

The presented examples with the postposition **-კობ** are calques from the Russian language. For Georgian using them is unnatural, unjustifiable and unacceptable. Using such calques is careless copying and the establishment of such forms will bring nothing good for the language. It will cause the impoverishment of the rich vocabulary of the Georgian language.